



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030412316924917

04-193/ო

07 / აპრილი / 2017 წ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის ფარგლებში განსახორციელებელი კონტროლის მიზნებისათვის, შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცებისა და მასზე ხელმოწერის უფლების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 57-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი N1) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-15¹ მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებული ყოველწლიური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან გაწეული სამედიცინო მომსახურების კონტროლის განხორციელებისათვის, შემოწმების აქტის სანიმუშო ფორმის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ით გათვალისწინებული კონტროლის ეტაპზე გასაფორმებელი შემოწმების აქტის (შემდგომში – აქტი) სანიმუშო ფორმა, ამ ბრძანების დანართის სახით.
2. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მხრიდან, შემოწმების აქტის შევსებასა და ხელმოწერაზე (შემდგომში – გაფორმება) უფლებამოსილება მიენიჭოთ კონტროლის განხორციელების მიზნებისათვის გამოცემული, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.
3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ ბრძანებით დამტკიცებული შემოწმების აქტის ფორმა მოიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ სავალდებულო ინფორმაციას და მისი სანიმუშო ხასიათი გამოიხატება აქტში დამატებითი და საქმისათვის აუცილებელი სხვა მონაცემების შეტანის შესაძლებლობაში.
4. დაევალოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.
5. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანებისა და მისი დანართის სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.
6. ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა (პ. ცაძიკიძე).

7. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს 2015 წლის 17 თებერვლის №04-50/ო ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების დამატებითი პირობების განსაზღვრის და ანაზღაურების შემდგომი, შემთხვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“, ხოლო ამ ბრძანებით დამტკიცებული „შემოწმების აქტის“ ფორმებით განხორციელებულ კონტროლის შედეგებს შეუნარჩუნდეთ იურიდიული ძალა.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი



ზაზა სოფრომაძე